საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-21/ნ

2020 წლის 18 თებერვალი

ქ. თბილისი

,,სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის №01-15/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის №01-15/ნ ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: www.matsne.gov.ge, 30/01/2020, სარეგისტრაციო კოდი: 470230000.22.035.016720) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. დამსაქმებელმა ყოველ იდენტიფიცირებულ საფრთხესთან მიმართებით რისკის შეფასების დოკუმენტის მომზადებისას უნდა გაითვალისწინოს ყველა ის პირი, რომელსაც შესაძლოა მიადგეს ზიანი იდენტიფიცირებული საფრთხის შედეგად. ამასთან, იდენტიფიცირებული უნდა იქნეს ამ პირთა პოზიციები, მათი სამუშაო ადგილი.“.

2. **ბრძანების №1 დანართი (რისკის დონის მართვის მეთოდოლოგია) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **ეკატერინე ტიკარაძე**